საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„ზაკავკაზსკი ვესტნიკ”

„ზაკავკაზსკი ვესტნიკ”, ყოველკვირეული საგუბერნიო რუსულენოვანი გაზეთი. გამოდიოდა თბილისში 1838–55 და ვრცელდებოდა როგორც ამიერკავკასიაში, ისე რუს. იმპერიის ცენტრებში (პეტერბურგი, მოსკოვი, ასტრახანი და სხვ.). თავიდან იბეჭდებოდა მხოლოდ ოფიც. ცნობები. „ზ. ვ-ის” პირველი რედაქტორი ფორმალურად იყო დ. ყიფიანი (1838 წლის აპრილი–ივნისი), თუმცა იგი თბილისში არ იმყოფებოდა, ხელს არ აწერდა ნომრებს და, ფაქტობრივად, გაზეთის გამოცემაში მონაწილეობას არ იღებდა. 1844 „ზ.ვ-ის” რედაქტორად დაინიშნა პ. იოსელიანი, რ-ის დროსაც გაზეთს დაემატა არაოფიციალური ნაწილი (1845-იდან), გაფართოვდა და გამრავალფეროვანდა გამოცემის კულტ.-საგანმან. მიზანდასახულობა და თემატურ-შინაარსობრივი მხარე. „ზ. ვ-ის” არაოფიციალურ ნაწილში იბეჭდებოდა საისტ. და *სალიტ.* ხასიათის თხზულებები და წერილები საქართვ. ძვ. და ახ. ისტორიის, ლიტერატურის, ზეპირსიტყვიერების, ისტ. გეოგრაფიის, ეკლესია-მონასტრების, ქართველთა ადათ-წესების, ზნე-ჩვეულებების, განათლების, საბიბლიოთეკო საქმის, თეატრ. ცხოვრების (ავტორები: პ. იოსელიანი, მ. ბროსე, დ. ყიფიანი, ნ. ბერძნიშვილი, ი. პოლონსკი, ი. სლივიცკი და სხვ.) შესახებ და სხვ. XIX ს. 50-იან წლებში „ზ. ვ-მა” ვერ გაუძლო კონკურენციას გაზეთ „კავკაზთან” – თავდაპირველად გაუქმდა მისი ოფიც. ნაწილი, ხოლო 1855 წლის ბოლოს „ზ. ვ.” საბოლოოდ შეერწყა „კავკაზს”. 1845–46 გამოდიოდა „ზ. ვ-ის” ოფიც. ნაწილის ქართ. დუბლიკატი „კავკასიის მხარეთა უწყებანი” (სულ გამოვიდა 11 ნომერი).

ლიტ.: Б а р а м и д з е А. А., В а т е й ш в и л и Д. Л., П. И. Иоселиани. Очерк жизни и научно-общественной деятельности, Тб., 1978; М а х а р а д з е Н. А., К вопросу о русских газетах на Кавказе в первой половине XIX века, კრ.: ჟურნალისტიკის საკითხები, დ. გამეზარდაშვილის რედ., ტ. 7–8, თბ., 1981.